**ხელშეკრულება №84/2019**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი 16 მაისი 2019 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება გაფორმებულია შემდეგ მხარეთა შორის:

- სსიპ - საპენსიო სააგენტო, (შემდგომში - **„შემსყიდველი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან სურგულაძის სახით
- შპს პრინტარეა რეგისტრირებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საინდიფიკაციო კოდი (შემდგომში - **„მიმწოდებელი“**), წარმოდგენილი მისი დირექტორის თინათინ სანაძის სახით,

(შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულნი, როგორც **„მხარეები“,** ხოლო ცალ-ცალკე - **„მხარე“**)
საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და მის შესაბამისად, „მხარეები“ აფორმებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:

**ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძველი:**
ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს: ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტი, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

**1.1 ხელშეკრულების საგანი.**

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 8 ერთეული მეხსისერების ბარათის, 150 ცალი- ა4 კონვერტისა და 600 ცალი ევროკონვერტის დაბრენდვის -ფოტოგრავირების (CPV79822200) მომსახურების შესყიდვა.

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 500.00 (ხუთასი) ლარს (შემდგომში **„საერთო ღირებულება“**). ერთი ერთეული ბრენდირებული მეხსიერების ბარათის ღირებულებაა 25 (ოცდახუთი) ლარი, ა4 კონვერტისა და ევროკონვერტის -0.40 (ნული ლარი და 40 თეთრი) ლარი.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც „მომსახურების“ ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ „მომსახურების“ გაწევისათვის გასაღებ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

2.3. წინამდებარე ხელშეკრულების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.

**3. მომსახურების განხორციელების ადგილი და ვადები**

3.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მისამართზე ყიფშიძის 7ბ.

3.1. „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

**4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. „მიმწოდებლის“ მიერ „მომსახურების“ გაწევისა და „შემსყიდველის“ მიერ მიღების დადასტურების მიზნით „მხარეებს“ შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, „მხარეთა“ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის გზით.

**4.2.** „შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების და ინსპექტირების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილების მქონე პირს წარმოადგენს: საგენტოს სამეურნეო, ქონების მართვის და ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი ლევან ჭკუასელი.

**5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

5.1. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.

5.2. ანგარიშსწორების საფუძველია „მხარეების“ სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ წერილობითი ფორმით გაფორმებული და ხელმოწერილი მიღება– ჩაბარების აქტი.

5.3. „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დუკუმენტაციის ,,შემსყიდველისთვის“ წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.4. „მიმწოდებლის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, „შემსყიდველს“ „მომსახურების“ ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება არ წარმოეშობა.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

6.1 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

6.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;

6.1.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე;

6.1.3 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

6.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

6.2.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

6.2.2 შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

6.3. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

6.3.1.მოსთხოვოს „შემსყიდველს“ მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებები.

6.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.4.1დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

6.4.2მიაწოდოს მომსახურება „შემსყიდველს“ სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით.

6.4.3შეასრულოს ამ ხელშეკრულებით და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

**7. ფორს-მაჟორი**

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენით.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

7.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

**8. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა**

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება-დამატება შესაძლოა განხორციელდეს ორივე მხარის სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერით დადასტურებული წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, თან დაერთვის მას და განიმარტება მასთან ერთობლიობაში. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანის მომენტიდან.

8.2.ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება "საერთო ღირებულება" ან „შემსყიდველისათვის" უარესდება ხელშეკრულების პირობები , გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

**9 დავების გადაწყვეტა**

9.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა და უთანხმოება გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

9.2 თუ მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, დავას გადაწყვეტს საქართველოს სასამართლო, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**10 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება**

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისი „მხარე" ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით.

**11 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მომსახურების" შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „მომსახურების" ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.2 თუ „მიმწოდებელზე" დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს "საერთო ღირებულების" 0.2% პროცენტს, „შემსყიდველი" უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება შესაბამისი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და მოსთხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

**12 ხელშეკრულების შეწყვეტა**

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლოა შეწყდეს:

12.2 ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

12.3 ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;
12.4 ხელშეკრულების 12.2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევაში;
12.5 ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის თაობაზე, „შემსყიდველის“ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე;
12.6 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 13 კონფიდენციალობა

13.1 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე, მისი დასრულების შემდეგაც „მხარეები“ დაიცავენ და არ გაამჟღავნებენ ამ ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას (ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ზოგადად არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და რომლის შესახებაც „მხარეებისთვის“ ცნობილი გახდა ან/და რომელზეც მათ ხელი მიუწვდებათ ამ ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან, „მხარეები“ თანხმდებიან, რომ კონფიდენციალური ინფორმაცია გულისხმობს მის ფართო განსაზღვრებას და ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ასევე ნებისმიერი ფორმატის და შინაარსის: იდეას, მეთოდს, პროცესს, სისტემას, საშუალებას, კონცეფციას, პრინციპს, მოწყობილობას, სერვისს, გეგმას, სტრატეგიას, აღმოჩენას, ფაქტს, გარემოებას და დოკუმენტს. ასევე, „მხარეებთან“ დაცულ, მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან/და გაგზავნილ ინფორმაციას, რომელიც შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ ან საბანკო საიდუმლოებას ან/და პერსონალურ მონაცემებს), გარდა საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით ხელშეკრულების „მხარისათვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საფუძველს.

## 14 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის „მხარეების“ მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს, 2019 წლის 1 აგვისტომდე.

## 15 დასკვნითი დებულებები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საკითხები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ ნებას და მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან.

15.3 ერთ-ერთი „მხარის“ მხრიდან ხელშეკრულების ან/და საქართველოს კანონმდებლობის სრულად ან ნაწილობრივ დარღვევასთან დაკავშირებით მეორე „:მხარის“ მიერ მისთვის მინიჭებული უფლებების გამოუყენებლობა არ გავრცელდება ხელშეკრულების ან/და საქართველოს კანონმდებლობის ნებისმიერ შემდგომ დარღვევაზე.

15.4 ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად ხელშეკრულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას. ბათილი ან ხარვეზიანი დებულების ნაცვლად, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობის სხვა მსგავი ნორმები.

15.5 ხელშეკრულების, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია, დასათაურებულია და განლაგებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება.

15.6 წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, უპირატესობა მიენიჭება საქართველოს კანონმდებლობის დებულებებს.

15.7 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე

ეგზემპლარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" , ერთი ეგზემპლარი - „შემსყიდველთან".

**16 „მხარეთა" რეკვიზიტები და ხელმოწერები**

„მხარეები" ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ წერილობითი ფორმით შეატყობინონ ერთმანეთს ამ მუხლში მითითებული რეკვიზიტების ცვლილების შესახებ.

**„შემსყიდველი":**
სსიპ საპენსიო სააგენტო
მისამართი: ყიფშიძის ქ. 7ბ, თბილისი
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205364407
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ელ.ფოსტა: hr@pensions.ge

Legal Entity of Public Law Pension Agency
Digitally signed by Legal Entity of Public Law Pension Agency
Date: 2019.05.16 11:37:38 +04'00'

ლევან სურგულაძე

**„მიმწოდებელი":**
შპს "პრინტარეა"
მისამართი:თბილისი უზნაძის ქ. №4
საიდენტიფიკაციო ნომერი 404384395
საბანკო რეკვიზიტები: სს ,, თიბისი ბანკი"
ა/ა GE16TB7465036020100001

LTD PRINTAREA
Digitally signed by LTD PRINTAREA
Date: 2019.05.17 16:20:04 +04'00'

თინათინ სანაძე